საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

კომერციალიზაციის დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. კომერციალიზაციის დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ემსახურება ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციური ტექნოლოგიების და პროექტების, ასევე ტექნო-ტრანსფერული რესურსების ადგილობრივი რეალიზებისა და გლობალური ინტეგრირების პრობლემების გადაჭრას.

1.2. დებულება წარმოადგენს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და განსაზღვრავს კომერციალიზაციის დეპარტამენტის ფუნქციებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

2.1. კომერციალიზაციის დეპარტამენტის ფუნქციაა კომერციალიზაციის პროცესის ეფექტური მართვის დაგეგმვა და რეალიზება, ტექნო-ტრანსფერებში და მისი სტანდარტების, სალიცენზიო და ნორმატიული აქტების შექმნაში მონაწილეობა.

2.2 კომერციალიზაციის დეპარტამენტი სამეცნიერო დეპარტამენტთან ერთად ადგენს სტუ-ს კვლევათა ტექნიკური აღწერის კატალოგს და ტექნიკური უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების მოცულობას.

2.3 კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობს (მრჩევლის სტატუსით) სტუ-ს საინოვაციო-საწარმოო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში.

2.4. კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობს მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის ორიგინალური კონცეფციის შექმნასა და ინოვაციური ბიზნესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შემუშავებაში.

2.5. კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობს სტუ-ს სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო კომპლექსის მოდერნიზაცია-სინთეზის პროცესებში (მრჩეველის სტატუსით), რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბაზრისა და ბიზნესის, დამქირავებლისა და კონკრეტული დამკვეთის მოთხოვნებთან.

2.6. კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობს საინოვაციო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბიზნეს - კომპლექსის სტრატეგიების შემუშავებაში, ბიზნესზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო-სამეცნიერო-სამეწარმეო ცენტრების ორგანიზების მიზნით.

2.7. კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობს სტუ-ს ინოვაციური კვლევისა და პროფესიული მოღვაწეობის მთავარი მიმართულებების სტრატეგიების შექმნაში.

2.8. კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობს ინოვაციური მოღვაწეობის საკადრო უზრუნველყოფის სტრატეგიების განსაზღვრაში, ინოვაციური სფეროს სპეციალისტთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მრავალსაფეხურიანი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, საინოვაციო სფეროს "საკადრო უსაფრთხოების" განხორციელების მიზნით.

2.9. კომერციალიზაციის დეპარტამენტი მონაწილეობას ღებულობს რეკომენდაციების შექმნაში პარტნიორული ურთიერთობისათვის სახელმწიფოს ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობასთან, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან, ფონდებთან და სხვა იურიდიულ პირებთან.

3. დეპარტამენტის სტრუქტურა

3.7. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი.
3.8. დეპარტამენტში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუ-ს სტრუქტურის შესაბამისად.
3.9. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ს რექტორი.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

4.2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას განიხილავს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4.3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.